

მერიული სამართლებრივი

ISSN 1987-8729



სამართლებრივ-საინფორმაციო ჟურნალი

№5 (73), მაისი, 2017

კაბრიო ტოპი

ერთდღოულად ამარცხებს ჭრაქსა და ნაცარს



დამატებითი მოქმედება:
შავი ლაქიანობა,
ათორავოზი, წითურა
წვიმის დროს იწყებს
ეორედ გაატიცურებას,
რაც განაპირობებს
მცენარის
12-14 დღით დაცვას.



AgroVitae

თბილისი, წერეთლის გამზ. 142, მე-2 სართ., ოთ. №15
ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ.: 597 170 706, 597 170 702
ელ. ფოსტა: agrovitae@gmail.com

ყველაზე გაყიდვატი
ვეტერინარული პრეპარატები
შპს „**INVEST**“-სგან



DPh

ენროფლოქსაცინი



DPh

ათავეტი



050-0000 A+ორალი



050-0003 ორალი



ალისერილი



(+995 32) 225 19 66



www.invet.ge

კომპინირებული საკვების საწარმო

საუკათასოა ზრდისთვის



www.invet.ge
info@invet.ge
(+995 32) 25 19 66

EURO
CERTIFICATION

www.invet.ge
info@invet.ge
(+995 32) 25 19 66

EURO
CERTIFICATION

www.invet.ge
info@invet.ge
(+995 32) 25 19 66

EURO
CERTIFICATION



ეროვნული
HACCP
სამსახურის
მოწყვეტილი

მცხეთა



(+995 32) 225 19 66



www.invet.ge



info@invet.ge



ნომერი წარითავი:



**ახალი აგრარული
საქართველო**
AKHALI AGRARULI SAQARTVELO
(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.
Monthly scientific-informative magazine
მაისი, 2017 წელი.
№5 (73)

სარედაქციო კრედიტი:
შოთა მაჭარეშვილი (მო. რედაქტორი),
ნუგარ ებანიძე, რქიმ ჯანიძე, მიხეილ
სოხავა, თამარ სანიკოვა, რესულან
გიგმაშვილი (კონსულტატორი), თერინა ნოშავე,
ნოდარ ბრევაძე, გეგ გრიგორია, გიორგი
ბარისაშვილი (მეცნიერება-მეცნიერების
რედაქტორი რედაქტორი), თამა გუგუშვილი
(მდგ. კვნ. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:
აკადემიურები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევოლ მახარიბლივი (აუქტორიზაცია),
გურამ ალექსიძე, ზაურ ფურთაძე,
ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგარ ებანიძე,
პატა კოლუაშვილი, ელგუჯა მაგარიძე,
შოთა ჭალაგარიძე, ზვარდ ბრევაძე,
ელგუჯა გუგუშვილი, გოგოვანიშვილი-
გვილი, ანა გულაძე, ლევან უჯაგაურიძე,
ზაურ ჯულუხაძე, ზერაბ ჯონჯიაძე,
ქრისტი კახნაძეშვილი, ალიო ტეველაშვილი,
ნატო კაცაბაძე, კუკაური ძერია, ქახა ლაშხი,
ჯემალ კაცატაძე, ნიკოლოზ ზაქაშვილი,
მიხეილ ჭიჭარავა, დავით ბოსტმავაძე, იოსებ
სარჯველაძე, ნუგარ სარჯველაძე, თენგიზ
ჭურავილი, ანატოლი გიორგაძე, ლევან
თორილაძე, ზურა ლოლაძე, კობა კობალაძე.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული კუნიომეცური
კირიარიტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica — Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/ტელ: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივერიული“
(კორულ ბაზობრივი)
www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო

დააკაბლინა ვიორგი მაისურაძემ

უწერნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრეზიდიანთ.

The journal acts in accordance with
the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაიბჭიდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC
მუნიციპალიტეტი
www.worldtechnic.ge

ნომერი წარითავი:



5

ლაინის ნაკადევი

ჩვენი ქვეყნის სხვა კურთხებთან ერთად ამგვარი ადგილი აჭარაა და უპირატესად ზემო აჭარა, რომელ კუთხესაც თურქული იატაგანის წყლულები დღემდე არ შეჰქორცებია.



7

ქვემი კი არ სუთქავს, ქვემი ლინო სუთქავს

თუ ქვევრის კედელი არ სუნთქავს,
მაშინ რით განსხვავდება ის ღვინის
სხვა ჭურჭლისაგან და როგორაა ის,
„მზეჩასხივებული ღვინის იშვიათი
ჭურჭელი“?



17

როგორ ვებრობოთ სატყვას

მიუხედავად ჩატარებული სერიოზული მუშაობისა, როგორც აღვნიშნეთ,
არსებული მექანიზმები და დანადგარები ვერ უზრუნველყოფენა სეტყვისა-
გან ბალებისა და ვენახების სტაბილურ დაცვას.

4 პიოლოგიური სოფლის
გაურეობა

მარსვლოვანი და აარესანი
კულტურების გირჩაგით
დაგუგავების ინოვაციური
ტექნოლოგია

12 ზოგადი

ადგილობრივი პიოლოგიური
სამუშაოების გამოყენება
ინიციატივის საყოფისრის
გაუარობასაზღად

უკალესი ქართული
ტრადიციები და ალტერნატიული
მიზაობებისაზე უადგის
15 მომენტი

„SYNGENTA AGRO AG“-ს
წარმოადგილობრივის
საქართველოში

აჭარის რეგიონში
სასოფლო-სამუშაო
წარმოადგის გამოყენება და
ტექნოლოგიების გამოყენებას
19 მდგრადი

23 უცვედრა წარსელთან

რძის აირველადი წარმოადგის
სეპორიში გასატარებელი
25 დონისებიერები

28 მფარვის მოვალეობის და
მოვლა-პირავის
ტექნოლოგია

31 სატყორი თევზის
გაურეობები - არგოლუებები,
რისები და რევენები

32 გაეთ კითხვა ვებარისართან?

33 გაეთ კითხვა აპროცესთან?

34 ჩაის ინდუსტრიის
აღიარებული საცისალისტი



ბიოლოგიური სოფლის მეურნეობა

საღ გარემოში ჯანსაღი მცენარეები, ცხოველები და ადამიანები ცხოვრობენ.
გასარეკუ ფუქურება

ბიოლოგიური (ორგანული, ეპოლოგიური) სოფლის მეურნეობის შექმნის
იღვას თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვთ. XX საუკუნის დასახურში, ძი-
მიური და მაივა მრავალობის განვითარებამ ხელი ვიუცხო სოფლის მეურ-
ნეობაში ქიმიური სასტანგის და პესტიციდების აპტიურ გამოყვებას, ახალი
აგროტექნიკური განვითარების დანერგვით გაიზარდა სასოფლო-სამუშაოები აროდულ-
ცის მოსავლიანობა, ზოგიერთ ხელით შრომა და შესაბამისად, ზოგიერთ
აროდულცის თვითდირებულება.

ინტენსიური ტექნიკური გამოყიტვის და-
ნერგვით მოსავლიანობის ზრდასთან
ერთად გაიზარდა მავნებლების რაო-
დენობა და მათი მდგრადობა ქიმიური
პრეპარატების მიმართ. ამან თავისთა-
ვად მოითხოვა ქიმიური პრეპარატების
დოზების მომატება, რასაც თან მოჰყვა
ნიადაგის გამოყიტვა, მისი ნაყოფიე-
რების ამაღლებისათვის კი ახალ-ახალი
ქიმიური სასუქების დამატება განდა
საჭირო, თანდათან სოფლის მეურ-
ნეობა ქიმიურ ინდუსტრიაზე დამო-
კიდებული გახდა, რასაც თან მოჰყვა
ნიადაგის გამოყიტვა, დეგრადაცია,
გარემოს დაბინძურება, შეირყა ადამია-
ნის ჯანმრთელობა. თუ ასე გაგრძელდა
კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტრო-
ფის წინაშე აღმოჩნდება. ბიოლოგიურ
სასუქებს ეკოლოგიური თვალსაზრი-
სით ძალიან დიდი ეფექტურობა აქვს:
არ ანაგვიანებს ნიადაგს და გრუნტის
ნებულების სუფთა რჩება. ნიადაგის თვი-
სებებს, მის სტრუქტურას, მცენარის
იმუნიტეტს აუმჯობესებს და მავნებ-
ლების მიმართ უფრო გამძლეა. რომ
შეამოწმოთ ქიმიური სასუქით და ბიო-
სასუქებით მოყვანილი პროდუქტის
შემცველობა, აღმოაჩენთ, რომ გაცი-
ლებით უკეთესია ბიო-სასუქით მიღე-
ბული პროდუქტი: არ შეიცავს ჯანმრ-
თელობისთვის საში ნივთიერებებს და
გემოც უკეთესია. აქედან გამომდინარე
ბიოაგრონარმოებაზე გადასვლა სინ-
თეზურ პესტიციდებსა და მინერალურ
სასუქებზე უარის თქმას გულისხმობს.
სამაგიეროდ ფართო გასაქანი ეძლევა
ბიოტექნიკური გენეტიკური განვითარა-
ტების დანერგვას.

ბიოაგრონარმოების განვითარება

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა,
რაც შესაბამის საკანონმდებლო რეგუ-
ლირებას საჭიროებს. სწორედ ამიტომ,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროში მომზადებული იქნა და
საქართველოს მთავრობის 2013 წლის
30 ივლისის №198 დადგენილებით დამ-
ტკიცდა „ბიონარმოების წესები“, რო-
მელიც განსაზღვრავს ბიომეურნეობის
მართვის, ბიოპროდუქტის ნარმოების,
გადამუშავების, ნიმუშდების, ეტიკეტი-
რების, დისტრიბუციის, რეალიზაციის,
ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის წეს-
სა და მასთან დაკავშირებულ ურთი-
ერთობებს. შევიცარიელმა მეცნიერმა
პანს მიულერმა პირველმა ჩაუყარა სა-
ფუძველი ბიოორგანული მეურნეობის
კონცეფციას, რომლის მთავარ საფუძ-
ველს წარმოადგენდა:

ქიმიურ ინდუსტრიაზე დამოკი-
დებულების უარყოფა – მცენარეთა
დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების
ამაღლებისათვის ქიმიური სასუქების
და სხვა სინთეზური საშუალებების
მოხმარების შემცირება, მეურნეობა-
ში არსებული ბუნებრივი რესურსების
მაქსიმალური გამოყენება, სასურსათო
პროდუქტის რეალიზაციის გაზრდა
პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესე-
ბის ხარჯზე;

დღესათვის ეკოლოგიური სოფლის
მეურნეობის განვითარება და ეკოლო-
გიური წონასწორობის შენარჩუნება
მდგრადი გლობალური განვითარების
პრიორიტეტულ მიმართულებას წარ-
მოადგენს, რომელიც, შემდეგი ამოცა-
ნების გადაწყვეტას ისახავს მიზნად.

ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუ-
ნება; ბუნებრივი რესურსების შენარ-
ჩუნება;

ეკოლოგიურ სასოფლო-სამეურ-
ნეობის პროდუქციაზე ბაზრის მზარდი
მოთხოვნების დაკმაყოფილება;

სოფლის ეკონომიკური განვითარების
ალტირნატიული მეთოდი;

როგორც წესი, ბიონარმოების წესები
ემყარება ზოგად პრინციპებს, რომლის
თანახმად:

ბიომეურნეობის დაგეგმვისა და მარ-
თვისას გამოყენებული უნდა იქნას
მხოლოდ შიდა ბუნებრივი რესურსები
და წარმოების ბიოლოგიური და მექა-
ნიური მეთოდები;

ბიოპროდუქციის დაპინძურებისა და
მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ
გატარებული უნდა იქნეს პრევენციუ-
ლი და საკონტროლო ღონისძიებები;

იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობის
შიგნით არ მოპოვება საჭირო და საკ-
მარისა რაღვენობით ბუნებრივი წივ-
თიერებები და მინერალური სასუქები,
გარე რესურსების სახით გამოყენებუ-
ლი უნდა იქნეს მხოლოდ სხვა ბიოლო-
გიური მეურნეობის რესურსები;

მკაცრად უნდა იქნეს შეზღუდული
ქიმიური სინთეზური წივთიერებების
გამოყენება;

მკაცრად შეზღუდულია ასევე გენ-
მოდიფიცირებული ორგანიზმების ან
გმო-დაც მიღებული პროდუქტების გა-
მოყენება, გარდა აუცილებლობის შემ-
თვევაში, ვეტერინარული დანიშნუ-
ლების სამკურნალო საშუალებებისა;

აუცილებელია სათანადო, დეტალუ-
რი ჩანაწერების წარმოება პერიო-
დის მიერ განხორციელებული ღონის-
ძიებებისა და გამოყენებული საშუალე-
ბების შესახებ;

ბიონარმოებაში დაშვებულია მხო-
ლოდ საქართველოს კანონმდებლობით
ნებადართული წივთიერებების და სა-
შუალებების გამოყენება.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლები-
სა და ბიომრავალფეროვნების შენარ-



ჩუნებისათვის მრავალწლოვანი თესლბრუნვის გამოყენება, პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლების, ან მძღვრი ფესვთა სისტემის მქონე კულტურების მწვანე სასუქის, ბიომეურნეობიდან მიღებული ცხოველის ნაკელის და ორგანული ნარჩენების გამოყენება (უმჯობესია კომპოსტირებული). დაშვებულია, ასევე სასათბურე წარმოება, მრავალწლიანი მცენარეები, მუდმივი საძოვრები. განსაზღვრულია, რომ ნიადაგში შეტანილ ნაკლის რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 200 კგ აზოტს ჰექტარზე წელიწადში. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ბიოპრეარატები (ბიოსასუქები, ბიოპესტიციდები, ზრდის სტიმულატორები და რეგულატორები).

საყურადღებოა, რომ ბიოსასუქის დამზადებამ, შენახვამ და გამოყენებამ არ უნდა დააბინძუროს ზედაპირული და მინისევეშა წყლები, ამასთანავე ნიადაგის დამცავი საფარისათვის დაშვებულია სინთეზური მულჩი, სილოსი, პოლიეთილენის პროდუქტები. გამოყენების შემდეგ ეს მასალები უნდა მოცილდეს ნიადაგს, თუმცა, არ უნდა დაიწვას მეურნეობაში. სათესლე და ვეგეტაციური გამრავლების მასალის წარმოებისათვის მხოლოდ ბიომეთოდებით მიღებული სათესლე და ვეგეტაციური გამრავლების მასალის გამოყენებაა დაშვებული.

მნიშვნელოვანია, რომ ბიომეთოდებით მიღებული სათესლე და ვეგეტაციური გამრავლების მასალის წარმოებისათვის გამოყენებული ერთობლიანი მცენარე მოყვანილი უნდა იქნეს ბიოწარმოების პრინციპების დაცვით სულ მცირე ერთი თაობის, ხოლო მრავალ-

წლოვანი კულტურების შემთხვევაში – ორი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, თუმცა, სერტიფიკაციის ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად, დაშვებულია არაბიომეურნეობიდან მიღებული სათესლე მასალისა და ვეგეტაციური გამრავლების ორგანოების გამოყენება. მცენარეები და მათი ნაწილები, აგრეთვე მათი პროდუქტები, შეიძლება ჩაითვალოს „ბიოპროდუქტად“ კონვერსიის პერიოდის გაცლის შემდეგ.

ორგანული მიწათმოქმედების არსი მდგომარეობს სასოფლო-სამურნეო პროდუქციის მოყვანაში მიწერალური სასუქების, მავნებლებთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალების გამოყენების გარეშე. ამ ტიპის მიწათმოქმედების ძირითადი პრინციპები საკმაოდ მარტივია. პირველ რიგში, მიწა კი არ უნდა იხვნებოდეს, არამედ უნდა ფხვიერდებოდეს არა ულრმეს 5 სმ-ისა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გადაბარვა და ლრმა ხვნა თრგუნავს მიკროორგანიზმების აქტიურობას, შლის ნიადაგის სტრუქტურას, რითაც აქვეითებს მის ნაყოფიერებას. ამ დროს ხდება ჟანგბადით ნიადაგის გაჯერება და ნიადაგის ბაქტერიები ინყებენ ჰუმუსის გარდაქმნას მცენარეებისათვის ხელმისაწვდომ მინერალურ სასუქებად, რაც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალ მოსავლიანობას

ორგანული მიწათმოქმედების მეორე პრინციპია „მულჩირება“. „მულჩა“ არის ყოველივე ის, რითაც დაფარულია ნიადაგი: ჩალა, თივა, ფოთლები, ნახერხი, მოცელილი სარეველები. „მულჩი“ იცავს მიწას, მიკროორგანიზმებს უქმნის ხელსაყრელ პირობებს.

სიტყვა „ორგანული“ ნიშნავს ხერხს, რითაც ფერმერებს მოჰყავთ და ამჟავებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ფერმერები, რომელთაც მოჰყავთ ეკოლოგიურად სუვთა პროდუქტები, არ იყენებენ ტრადიციულ სასუქებსა და პესტიციდებს და იყენებენ თესლბრუნვას, ბუნებრივ სასუქებს (ნაკელი, კომპოსტი), ხოლო მავნებლების გასანადგურებლად – სასარგებლო მწერებსა და ჩიტებს, ნაცვლად სინთეზური პესტიციდებისა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შექმნილია ბიოგრონარმოების სამსახური, რომელიც ფუნქციონირებს 2014 წლის 15 ივნისიდან, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ძირითადი სამუშაო ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია. მთავარი კი ისაა, რომ ფერმერს ტრადიციული მეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლის სურვილი გაუჩინდეს. მართალია, ბიოგრონარმოება უცებარ აძლევს ფერმერს დიდ მოგების შანსს, მაგრამ რამდენიმე წელიწადში მისი შემოსავალიც თანდათან იმატებს და ეკოლოგიური წონასწორების შენარჩუნებული იქნება ბუნებაში, რაც მრავალ კატასტროფას აგვაცილებს თავიდან.

მ. სარალიძე,
ს/მდოქტორი;

გ. განიმარი,
ს/მდოქტორი;

ო. ლიანართლიანი,
ს/მდოქტორი, პროფესორი;

ზ. პილანიშვილი,
სსიპ სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



ჩვენი ნაკვალევი

დღვევანდელ ჩვენს მოკლე წარილ-ში შევხედით იმ როზულ და ვიწრო გზის ნაონლის, რაზიდაც ჩვენი ძვიშის ხევანების მომრავლების დარგას მოუწია გავლა.

ერთთავად მოლერბული ხმლის ქვეშ მყოფ ქართველობას ვაზისა და ლინის გარეშე არასოდეს უცხოვრია. ამ საგანს ძველთაგანვე მიხვდა ჩვენი მეზობელი თუ გადამთიელი მტერი და ისინი ქრისტიანობასთან ერთად ქართულ ვაზისაც ებრძოდნენ და ჩეხდნენ. ერთი კია, რომ ზემოხსენებული მეზობელი, თუ გადამთიელი მტერი ქართველ კაცს, ჩვენს მართალ სარწმუნოებასა და ქართული ვაზის ჯიშებს ერთ მთლიან სხეულად

აღიქვამდა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ისინი ცამდე მართლებიც იყვნენ. როგორც სარწმუნოების, ისე დვინის ქართულად დაყენების აკრძალვით ქართველ კაცში ამ ორი სიმინდი-სადმი ლტოლვა და რწმენა უფრო ძლი-ერდებოდა და მტკიცდებოდა. ამგვარ მაგალითებს უპირატესად იქ ვხვდებით, სადაც ყველაზე მეტად იკრძალებოდა ვაზი და ვაზის ჯვარი...

ჩვენი ქვეყნის სხვა კურთხეებთან ერთად ამგვარი ადგილი აჭარაა და უპირატესად ზემო აჭარა, რომელ კუთხე-საც თურქული იატაგანის წყლულები დღემდე არ შეჰქორცებია. ამ ულამა-ზესი კუთხის მცხოვრებმა ურთულეს პირობებში შეინარჩუნა ქართველობა. ურთულეს პირობებში ინარჩუნებდნენ სჯულს, ურთულეს პირობებში წურავ-დნენ ყურქნის, მაგრამ ამ წმინდა საქმეს ერთ მისხალსაც კი არ აკლებდნენ არას-დროს. ეს ყოველივე იმ სრულყოფით აღესრულებოდა, რასაც ითხოვდა სჯუ-ლიცა და ლვინის ქართულად დაყენე-ბაც. აქაური მევენახე ისევე ცდილობდა გამოყვანა და შეექმნა ადგილობრივი ვაზის ჯიშები, როგორც ამას საქართ-ველის სხვა კუთხის მცვიდრნი აკეთებ-დნენ. ამიტომაც ამ ერთ მუჭა კოპნია მხარეში 45-მდე ადგილობრივი ვაზის აჭარული ჯიში მოგვეპოვება, რომლე-ბიც ხასიათდებიან სიმინიფის სხვადასხ-ვა პერიოდით, სხვადასხვა დანიშნულე-ბით, ლვინის განსხვავებული ხარისხითა და სხვ.

აჭარაში უპირატესად გურული ქვევ-რები გვხვდება. თუმცა, ვხვდებით იმერელი მექევერეების ნახელაგსაც. საინტერესოა, რომ ამ მხარეში იშვია-თად, მაგრამ მაინც ნახავთ „პითოსებ-საც“, რომელი ჭურჭელიც ძველ დროში შემოკენდათ ანატოლიის მხრიდან. ამ ტიპის ჭურჭელს ვხვდებით როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარაშიც. როგორც აღინიშნა, მიუხედავად მტრების მიერ

ღვინის დაყენების აკრძალვისა, აჭარ-ლები განსაკუთრებული მონდომებით აღასრულებდნენ ამ წმინდა საქმეს მაშინაც კი, როდესაც აჭარის ნაწილი დედასამშობლოს დროებით ჩამოცი-ლებული იყო. თუმცა, კი უნდა ითქვას, რომ ლვინის დაყენების საქმეს ზოგ-ჯერ აჭარლები არ ამჟღავნებდნენ და ფარული ქრისტიანობის მსგავსად,



რიგ შემთხვევებში მეღვინეობასაც ფარულად ეწეოდნენ. უნდა ითქვას, რომ ლვინის ქართულად დაყენების აკრძალვის გამო ხშირად მარნები და სანახელებიც მოსახლეობას ფარულად ჰქონდა გამართული ტყეებში. ამგვარი ადგილები მრავლად გვხვდება აჭარაში.

ამჯერად მოკლედ შევეხოთ მაჭა-ხელს ხეობის ერთ ლამაზ სოფელში – ჩეუტუნეთში მდებარე სანახელს, რომელიც ადგილობრივებში „ჭონქუოს სანახელის“ სახელითაცაა ცნობილი. სანახელი მიუვალ ადგილს, სოფლი-დან 200-300 მეტრზე მდებარეობს. ის დგას მთის ძლიერ დაქანებულ ფერდ-ზე, რომლამდეც როთული და ცაცაბო ბილიკი მიდის. ზოგადად დასავლეთ საქართველოს მეღვინეობისათვის და-

მახასიათებელია ხის საწნახლები, ხოლო ამ შემთხვევაში კი ჩვენ სახეზე გვაქვს მკვიდრად ნაშენი ქვითვირის საწნახელი. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ამავე საწნახელთან 300-400 მეტრის სიახლოვეს გვხვდება კიდევ ორი ქვით-ვირის საწნახელი, რომლებიც ასევე ცი-ცაბო ფერდებზე, მიუვალ ადგილებზეა აშენებული. „ჭონქუოს საწნახელთან“ მისასვლელი ბილიკი საკმაოდ რთულია, ხოლო წვიმითან ამინდში მასთან მისვლა თითქმის შეუძლებელია. საწნახელი აშე-ნებულია ნახევრად გამოქვაბულ კლდე-ში, რამაც ის დღევანდელ დღემდე შესა-ნიშავად შემოინახა. მისი შიდა ეკედლები დაფარულია კირის თხელი ნალესით. საწნახელი იმითაცა უნიკალური, რომ მასში ჩამონქტებულ იყო წნეხი, იგივე „საქაჯავი“ (საწნახელის ზურგის კედელ-ში შემორჩენილია წნეხის დირეს ბუდე). წნეხისა და საწნახელის ამგვარი კომბინა-ცია მთელს საქართველოში ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

როგორც მაჭახელსა ხეობაში, ისე მთალიანად ზემო აჭარაში მეღვინეო-ბის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ამაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი ის ნაშთები, რაც მეორე მხრივ ბრწყინვალე მაგალითებია სა-ქართველოს ტრადიციული მევენახეო-ბა-მელვინეობისა. ერთი მხრივ ამ კულ-ტურული ძეგლების დროული მოძიება და აღწერა, ხოლო მეორე მხრივ რეგი-ონში ადგილობრივი ვაზის ჯიშების გავ-რცელება მეტად სამურ საქმედ მიგვაჩ-ნია. იმედი ვიქრინოთ, რომ აჭარის ად-გილობრივი მმართველობა უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს ამ ყოველივეს, რაც, ჩვენი აზრით, ტურისტული თვალ-საზრისითაც დიდად საწნახერესო.

ვიზიტი მაჭახელსა ხეობაში განხორ-ციელდა საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის ფარგლებში.

**გორგი გარიბაშვილი,
მცხეთა, 2017 წ.**

მოსაზრება

ქვევრი კი არ სუთიავს, ქვევრში ღვიცო სუთიავს

ქვევრს ქართველები 80 საუკუნეები ერთი და იგავე კლასიური მეთოდით, ერთი და იგავე მასალისაგან, ერთი და იგავე ფორმით ვაშეონათ. რა თქმა უძღვა სხვადასხვა ათასცლეულში გის ფორმაში ჩვის ცინკის ცინკის გამოყენების უფრო დახვევილს და სრულყოფილს ხდიდა. რაც ვაშეონა ნიდლებულ და ცაცაბო ბილიკი მიდის. ზოგადად დასავლეთ საქართველოს ცხოვილი ღვიცობით კარგად ვეზელი აყალისა და თი-რი თისის ნაზავი იყო და არის ღღვემო.

ქვევრი, დღესაც საჭიროებს ცვლი-ლებებს, რომ მისი შენების და გამო-ყენების დროს, კაცობრიობის მიერ ტექნიკა-ტექნიკოლოგიებში მიღწეული პროგრესის ასახობოს. მაგრამ დატემდე არსებული და დროით გამოცდილ-დამ-

კვიდრებული ტრადიციული მეთოდი, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს. რაც შეეხება ქვევრის სამშენებლო ნედლეულს: თისას და კარგად გა-რეცხილ მდინარის ქვიშას, მისი სხვა ნედლეულით შეცვლა ჩვენს წინაპარს

არასდროს უფიქრია, რასაც ამტკიცებს კიდეც საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის ნაკეთობათა უძ-ველესი ნიმუშები. მით უმეტეს, რომ მათ ვერ დამზადებულ ქვევრის კედ-ლიდან ისე უნავდა დასავლეთი კარგის შენარჩენების შესახებ მიმდინარეობა და გამოცდილი მეტად სამურ საქმედ მიგვაჩნია. იმედი ვიქრინოთ, რომ აჭარის ად-გილობრივი მმართველობა უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს ამ ყოველივეს, რაც, ჩვენი აზრით, ტურისტული თვალ-საზრისითაც დიდად საწნახერესო.

დღეს საქართველოში ქვევრის შენე-

ბის ბუმია. იმედია მაღლე მისი წარმოება გაათმაგდება და გაასმაგდება, ამასთანავე შემოთავაზებული იქნება მრავალი სიახლე, როგორც მისი შენების, ისე გამოყენებული ნედლეულის გამრავალფეროვნების კუთხით, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქვევრის შენება კლასიკაა, რომლსაც საქართველოში, კლასიკად ქცეული შენების წესები, მეთოდები და ნედლეული აქვს, ამიტომ ყოველგვარ სიახლე ფართო განსჯავანებილების საგანი უნდა გამდეს და მხოლოდ ამის შემდეგ, იქნას მიღებულ-დანერგილი.

ქვევრი სათანადოდ დღემდე არავის უკვლევია. რაც შეეხება ღვინოს, ის მრავალმხრივაა გამოკვლეულ-შესწავლილი, ამიტომ ფართოდაც ცნობილი ყველა ის მოთხოვნა, რომლებსაც ღვინო ჭურჭლებს უყენებს. ამ მოთხოვნათაგან ძირითადი ღვინის მიმართ ჭურჭლის აბსოლუტური ინერტულობაა. ღვინო ითხოვს, რომ მის სუნსა და გემოს ჭურჭელი არ შეეხოს, არც გაუმჯობესების და არც გაუარესების კუთხით, რადგან ორივე შემთხვევაში ღვინო ბუნებრიობას (ნატურალობას) კარგავს. ღვინო ითხოვს, რომ დავარგების პროცესში მუდმივი დაბალი ტეპერატურა ჰქონდეს და ნორმით მარაგდებოდეს უანგბადით. ქვევრი ღვინის ამ მოთხოვნას დღემდე სრულად აკმაყოფილებს, ამიტომა ის ღვინისათვის დღემდე ერთადერთი მისაღები ჭურჭლია და იქნება ყოველთვის, თუ მას ისე ავაშენებთ, როგორც ღვინოს უნდა და არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

ტრადიციულად ჩვენი წინაპარი ქვევრის სამშენებლო მასალად ყოველთვის ცხომიან თიხას (აყალოს) და მის გასამჭლევებლად თირ (მჭლე) თიხას იყენებდა. მათი ნორმით შერევის შედეგად მექვევრე ოსტატს ნებისმიერი ფორიანობის მქონე ქვევრის კედლის მიღება შეუძლა. როცა ნორმით შერეულ-გადაზელილი თიხისაგან აშენებული ქვევრი ნორმალურად გამოიწვება ის აბსოლუტურად ინერტულია ღვინის მიმართ და ასეთი ქვევრიდან ღვინის გაჟონვა გამორიცხულია, თუ რა თქმა უნდა, მის გარშემო შემოყრილი მინა არ გაშრა და ქვევრიდან ღვინო არ გაინვა, ანუ ქვევრის კედლიდან კი არ ჟონავს ღვინო, არამედ ქვევრიდან ღვინო გაინვება, რომლის აღსაკვეთად არა აუცილებელი ქვევრის კედლში ფორების ამოვსება.

საქართველოში ქვევრს ყველა კუთხეში აშენებენ, არის კუთხეები, სადაც თირი თიხა არ აქვთ. ასეთ ადგილებში ტრადიციულად საქვევრე თიხას კარგად გარეცხილი მდინარის ქვიშით ამჭლევებენ და არა მდინარის ლამით, რომელსაც დღეს ზოგიერთი მექვევრი იყენებს, რაც ყოველად დაუშვებელია, რადგან ლამი მდინარის წყლის დალექვის შედეგად მიღებული მასაა,

რომელიც დაბინძურებულია ყველა იმ შსამებით, რომლებიც დღეს სოფლის მეურნეობაში გამოიყენება.

მართალია, სახელისუფლებო სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებს ქვევრი სათანადო დონეზე არასდროს შეუსწავლიათ, მაგრამ ენთუზიასტები მას ყოველთვის იკვლევდნენ და შემდეგშიც გამოიკვლევენ. რაც შეეხება კვლევის შედეგების გამოქვეყნებას, ისინი ამას იშვიათად ახერხებენ, მაგრამ არის გამონაკლისები. აღნიშნულ კვლევებში ბევრი მეცნიერი ფრიად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს როგორც ქვევრის შენების, ისე მისი გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ ამ წინადადებებში არის ისეთ შემოთავაზებებიც, რომელთა საჭიროება დღეს დღის წესრიგში, უბრალოდ, არ დგას, რადგან ამით ქვევრის შენების პრობლემები კი არ გვარდება, არამედ, პირიქით მატულობს. ასე მაგალითად:

როგორც ცნობილია, ქვევრი ცხიმი-ანი და თირი თიხის ნორმით შეზავებულ-შეზელილი თიხისგან შენდება. სადაც თირი თიხა არ არის, იქ კარგად გარეცხილ მდინარის ქვიშას იყენებენ. ქვევრის სამშენებლო კაზმში ყველა ეს კომპონენტი ათასობით წლით კარგად გამოცდილი ტრადიციული ნედლეულია და კლასიკას წარმოადგენს. ასევე უნდა ალინიშნოს, რომ ორივე ეს თიხა კარიერზე ზედა და ქვედა ფენას წარმოადგენს და ერთ ორმოში იქრება, ასე რომ მექვევრისათვის მათი მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენს. საქართველოში მდინარეც ყველგანაა და არც ქვიშის მოპოვებაა როტული.

პრესაში გამოქვეყნებულ კვლევებში კი არის წინადადება კაზმში გამამჭლევებლად თირი თიხის მაგიერ ფარავნის პერლიტი ან წინანიშნიდის პემზა გამოიყენონ. ამ წინადადებაზე რამდენიმე მიზანის გამო ალბათ უარი უნდა ითქვას: პირველი ის, რომ კაზმში ისინი ახალი, ღვინოსთან ურთიერთობის კუთხით ჯერაც შეუსწავლელი კომპონენტებია, ამიტომ პირველ რიგში, ორი-

ვე ეს ნედლეული ღვინოსთან მიმართებაში კარგად უნდა იქნას შესწავლილი და მხოლოდ ამის შემდეგ გაეწიოს რეკომენდაცია. მეორე, როგორც ცნობილია, აღნიშნულ გამამჭლევებელთა კარიერები ნინონიშნიდასა და ფარავნის ტერიტორიაზეა, ქვევრს კი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აშენებენ, ანუ ამ ნედლეულის შესყიდვის, გადაზიდვის და კაზმში მისაცემად მის გადამუშავება-გამზადებას გარკვეული თანხა დაჭირდება. გამოდის, რომ ყოველგვარი აუცილებლობს გარეშე ვიმრავლებთ პრობლემებს და ვზრდით ქვევრის თვითიღირებულებას. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა-შეგონება: ქვეყანაში გვაქვს დროით გამოცდილი ტრადიციული გამამჭლევებელი თირი თიხა და მდინარის ქვიშა, რომელთა ახლით შეცვლა დღეს არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს და ყველამ თავი უნდა შევიკავოთ მსგავსი, ჯერაც შეუსწავლელი წინადადებებისაგან.

ასევე, არის წინადადება ქვევრის კედლელი ცვილის მაგიერ წარმოლონ-დური წერნაქით დაიფაროს, რომელიც ქვევრის კედელში ღრმად შეინოვება და ქვევრთან შექმნის გაპრიალებულ ზედაპირს, რომ ის ხელს შეუწყობს შეცხობის პროცესს, ააგსებს ფორებს და ქვევრის კედლელს მტკიცეს გახდის. როგორც ხედავთ, ესეც სიახლეა ქვევრისათვის და რამდენიმენიანი კვლევა-შემოწმების გარეშე მისი პრაქტიკაში დანერგვა არ შეიძლება. მით უმეტეს, ჯერ ერთი, კაზმში ცხიმიანი თიხის მომატება-დაკლებით წებისმიერი ფორიანობის ქვევრის კედლის მიღება შეიძლება და მეორე, ქართველმა მექვევრებმა დიდი ხანია ისწავლეს ქვევრის შიდა კედელზე 1-2 მმ-ის სისქის აყალოს გადაკვრით დაბალფორიანი გაპრიალებული ზედაპირის მიღება. რაც შეეხება იმას, რომ წერნაქი ცვილის მაგივრობას განევს, დღეს ალბათ უარი უნდა ითქვას: პირველი ის, რომ კაზმში ისინი ახალი, ღვინოსთან ურთიერთობის კუთხით ჯერაც შეუსწავლელი კომპონენტებია, ამიტომ პირველ რიგში, ორი-



მოვაშოროთ ქვევრის კედელს ცვილიც და ყველა სხვა დასამუშავებელი საშუალებები, რადგან ამ შემთხვევაში ღვინო თიხის ჭურჭელში კი არა ჩასხმული, არამედ ამ საცხებთა საკონფაგში ზის და იზოლირებულია გარესამყაროდან.

საერთოდ, კარგი იქნება თუ ყველა გაითავისებს ამ ჭეშმარიტებას: როცა ათასობით წლით გამოცდილი ნედლეული ახლით გვინდა შეცვალოთ, ეს ახალი ათი თავით მაღლა უნდა იდგეს ძველ-ტრადიციულთან შედარებით. ის, რომ ამ სიახლით გამოწვის ტემპერატურა რამდენიმე ათეული გრადუსით შემცირდება, ქვევრის ფორმებს ამოავსებს და ქვევრი მტკიცე გახდება, ეს ის მიზეზები არ არის, რისთვისაც კაზმში ახალ ღვინოსთან ურთიერთობაში ჯერაც შეუსწავლელი ნედლეული შევიტანოთ. რაც შეეხება ქვევრის სიმტკიცეს, ცნობილია, რომ ქვევრის სიმაგრე მის დაბალფრიანობასა და სიმტკიცეში კი არ არის, არამედ მისი დრეკადობის უნარშია რადგან ქვევრი მინაშია, ის, პირველ რიგში, მინისძვრამედები უნდა იყოს. ცნობილია, რომ მინისძვრას მტკიცე კი არა, ფორმანი, დრეკადი და რხევების ჩამხმობი კედელი უძლებს და არა მტკიცე, რაც დაადასტურა კი-დეც 1991 წლის დასავლეთ საქართველოში მომხდარმა დამანგრეველმა მინისძვრამ, რომლის დროსაც თითქმის ყველა ქვევრი და თიხით ნაგები სახლი გადარჩა, ცემენტით მტკიცედ ნაგები კი ყველა შენობა დაინგრა.

ქვევრის უპირატესობა ღვინის სხვა ჭურჭელთან შედარებით მისი კედლის შანგბადგამტარობის უნარშია. „ქვევრი სუნთქავს“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის კედელში ჰაერი წინ და უკან დანავარდობს. ეს ნიშნავს, რომ ქვევრში ღვინო არა იზოლირებული გარე სამყაროსგან და მისთვის საჭირო შანგბადის ალება, ქვევრის კედლის გავლით, ქვევრის გარშემო შემოყრილი შანგბადით გაჯერებული სველი მინიდან შეუძლია. უნდა ალინიშნოს, რომ ქვევრს შანგბადი არ ჭირდება და ის არც სუნთქავს, შანგბადი ღვინოს ჭირდება და ის მას გარედან ქვევრის შანგბადგამტარი კედლის გავლით იღებს, მისი მექანიზმი კი ასეთია: ქვევრის გარშემო შემოყრილი სველი მინა გაჯერებულია შანგბადით, ასეთივე მდგომარეობაშია ქვევრის სველი კედელი და ქვევრში ჩასხმული ღვინო, ანუ სამივე მათგანი შანგბადით გაჯერებულ ერთ სველ მთლიანობას ნარმოადგენს. როცა ღვინის დავარების დროს ღვინოში შანგბადი იხარჯება, მისი შევსება ქვევრის სველ კედელში არსებული შანგბადით ხდება, ხოლო ქვევრის კედლი შანგბადს ქვევრის გარშემო შემოყრილი სველი მინიდან იღებს. რადგან შანგბადით გაჯერებული სამივე ეს ობიექტი ერთ სველ მთლიანობას

წარმოადგენს, ღვინისგან შანგბადის გახარჯვის დროს მისი შევსება მომიჯნავე წყაროდან ისე ბუნებრივად ხდება, როგორც მდუღარ წყალი გაციების დროს ჰაერიდან ბუნებრივად იერთებს შანგბადს. ქვევრში ღვინის უანგბადით მომარაგების ამ პროცესს ჩვენში წინაპარმა ქვევრის სუნთქვა უწინდა. თუ ვინმე ფირობს, რომ ეს ტერმინი სრულად არ გამოხატავს მასში მიმდნარე პროცესების არსს, მაშინ ვთქვათ, რომ „ქვევრში ღვინო სუნთქავს“ და არა „ქვევრი სუნთქავს“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 მარტის ნომერში გამოქვეყნდა



თანამედროვე ქართული კერამიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის პროფ. გურამ გაფრინდაშვილის წერილი: „ქვევრი (ჭური) მზეჩასხივებული ღვინის იშვიათი ჭურჭელი“, სადაც ბატონი პროფესიონალი ბევრ საჭიროობო ტო საკითხზე ამახვილებს უურადებას. მათი უმრავლესობა, სამწუხაოდ, დღემდე მოუგვარებელია და ცუდად იმოქმედებს ქვევრის მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე. წერილში ასევე, არის ავტორის მოსაზრებები საკითხებზე, რომელთა რეკლამირება არ წაადგება ქვევრის მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვის საქმეს. ბატონი პროფესიონერს: „...კატეგორიულად ვაცხადეს, რომ შეუძლებელია ნორმალურად გამომწვარ ან წასხვრად შემცხვარ ქვევრში ადგილი ჰერნდეს რაღაც პირდაპირ და უკუმიმართულების მოვლენებს. ფორები, რომლებიც გამომწვარ ქვევრშია, მიუხედავად ფორმისა და შემოწმების სხვადასხვაობისა, არის დახურული წრიული ფორმის, რომელიც არ მონანილებს ფილტრაციის პროცესში. ორივე მხრიდან ღია არის ფილტრაციის პროცესში, თუ მათ აქვთ სწორი, პირდაპირი და არა კლავილი ან მარცხუსისებრი ფორმა. ასევე არ მონანილებს ფილტრაციის პროცესში ე.წ. ჩიხურა ფორები. ვერცხლისწყ-

ლის ფორმეტრით დადგენილია, რომ ნორმალურად გამომწვარი ქვევრის ტიპის კერამიკუში შეღწევადი ფორების რაოდენობა მცირეა და შეადგენს 1-2%-ს საერთო ფორების რაოდენობიდან, ამიტომ ქვევრი „არ სუნთქავს“.

ყველა აქ დაწერილს გავიზიარებდი, ქვევრის კედლის ეს „დახურული და წრიული ფორმის ფირები“ შიგნიდან გარეთ ღვინოს რომ არ ატარებდეს, ხოლო გარედან შიგნით წყალს. თუ კედლი სითხეს ატარებს, ე.ი. მისი ფილტრაციის პროცესშიდაც მონაწილეობს და, ცხადია, სითხეგამტარ კედლს სითხესთან ერთად, შანგბადის

გატარებაც თავისუფლად შეუძლია. ღვინო, დავარებების მთელი პროცესის მანძილზე იმდენი რაოდენობის შანგბადს შეღწევადი ფორების 1-2% სრულიად საკმარისია. მაგრამ ქვევრი მოთავსებული ღვინო საჭირო შანგბადს სულ სხვა მექანიზმით იღებს. თუ რა მექანიზმით ხდება ეს, ზემოთ აღვნიშნე, საბოლოო დასკვნა კი შემდეგი ცდით მიღწეული შედეგების შემდეგ გავაკეთეთ (თუ გამომორებთ, ამაში ყველა ადვილ და დარწმუნდებით):

აიღეთ ორი ახალი ქვევრი (ტევადობას მნიშვნელობა არ აქვს), ერთ-ერთი ნებისმიერი მხრიდან კარგად გასანთლეთ, ხოლო მეორე,

გაუსანთლავი ჩდგით მინაში. დეკემბრის ბოლოს ორივე ქვევრი ააგსეთ ლექიდან მოხსნილი ნითელი მაჭრით (წითელი, იმიტომ რომ ის დავარებების დროს მეტ შანგბადს მოიხმარს, ვიდრე თეთრი). ამის შემდეგ დახურებით რომელ ქვევრი ჰერმეტულად და დატოვეთ (ღვინო არ გადაიღოთ, რადგან გასანთლულ ქვევრში ღვინო საჭირო შანგბადს გადაღების დროს აიღებს), ქვევრები 12-14 თვის შემდეგ გახსენით და შეამოწმეთ. ნახავთ, რომ გაუსანთლავი ქვევრის ღვინო, არა მარტო სუნით და გემოთი იქნება ათი თავით მაღლა გასანთლულ ქვევრის ღვინოზე, არამედ გაცილებით უკეთ იქნება დაწმენდილი. ეს იმიტომ, რომ გაუსანთლავი ქვევრის ღვინო საჭირო შანგბადს გადაღების დროს აიღებს), ქვევრები 12-14 თვის შემდეგ გახსენით და შეამოწმეთ. ნახავთ, რომ გაუსანთლავი ქვევრის ღვინო საჭირო შანგბადს გადაღების დროს აიღებს, არა მარტო სუნით და გემოთი იქნება ათი თავით მაღლა გასანთლულ ქვევრის ღვინოზე, არამედ გაცილებით უკეთ იქნება დაწმენდილი. ეს იმიტომ, რომ გაუსანთლავი ქვევრის ღვინო საჭირო შანგბადი ქვევრის გარშემო შემოყრილი სველი მინიდან ქვევრის სველი კედლის გადაწყვეტაზე. წერილში ასევე, არის ავტორის მოსაზრებები საკითხებზე, რომელთა რეკლამირება არ წაადგება ქვევრის მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე. წერილში ასევე, არის ავტორის მოსაზრებები საკითხებზე, რომელთა რეკლამირება არ წაადგება ქვევრის მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვის საკმეს. ბატონი პროფესიონერს: „...კატეგორიულად ვაცხადეს, რომ შეუძლებელია ნორმალურად გამომწვარ ან წასხვრად შემცხვარ ქვევრში ადგილი ჰერნდეს რაღაც პირდაპირ და უკუმიმართულების მოვლენებს. ფორები, რომლებიც გამომწვარ ქვევრშია, მიუხედავად ფილტრაციის პროცესში, თუ მათ აქვთ სწორი, პირდაპირი და არა კლავილი ან მარცხუსისებრი ფორმა. ასევე არ მონანილებს ფილტრაციის პროცესში ე.წ. ჩიხურა ფორები. ვერცხლისწყ-

კი ყველა პირგანდელ თვისებას შეი-ნარჩუნება.

იმის დაწერა, რომ ქვევრში ღვინო არ სუნთქავს, ისეთი დიდი მეცნიერის მიერ, როგორიც პროფ. გურამ გაფ-რინდაშვილია, განაჩენის ტოლფასია ქვევრისათვის. თუ ქვევრის კედელი არ სუნთქავს, მაშინ რით განსხვავდება ის ღვინის სხვა ჭურჭლისაგან და როგორაა ის, „მზეჩასხივებული ღვინის იმფათი ჭურჭელი“? მაშინ ის ისეთივე ჭურჭელია, როგორიც ლითონის ემალირებული კასრია ან რკინაბეტონის ბუტი.

აქვე მინდა ალვინიშვილი, რომ თიხაში შეუძლებელია ფორმების ისეთი ამოვ-სება, სითხე რომ არ გაატაროს თუ რა თქმა უნდა შეექმნება ამისთვის შე-საფრისი პირობები. რადგან ქვევრი მიწაშია, მისი გვერდებიდან სითხის გაჟონვა ძირითადად დამოკიდებულია არა მისი კედლის ფორმიანობაზე, არა-მედ მის გარშემო შემოყრილი მინის მდგომარეობაზე. თუ მიწა მშრალია, ის ნებისმიერი ფორმებიანი კედლიდან გამოიწვის ღვინოს. ამაში ადვილად დარჩენულებით თუ ფორმატის ქალალ-დისგან ჭურჭელს გააკეთებთ, მინაზე დადებთ და წყლით აავსებთ, რამდენ ხანსაც არ უნდა დატოვოთ ქალალიდის ჭურჭელი მინაზე, ქალალდიდან წყალი არ გაჟონავს. თუ ცდას გაიმეორებთ და ამჯერად მინაზე ხელსახოც ქა-ლალდს დააფენთ და მასზე წყლით სავსე ქალალდის ჭურჭელს დადებთ, ზუსტად ერთი წუთი იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ხელსახოცმა ჭურჭლი-დან წყალი გამოწვიოს და დასველდეს. პირველ შემთხვევაში ქალალდმა წყალი იმიტომ არ გაატარა, რომ მინა წყალს არ ინიცის და სითხე არ მოითხოვა, ამი-ტომ არ მოხდა ჭურჭლდან მისი განვითარება, ხელსახოცის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, ხელსახოცი სითხის ითხოვს და გამოწვია კიდეც ჭურჭლიდან. ჩვენმა წინაპარმა, იცოდა რა მშრალი მინის წყლით გაჯერებისაცენ სწრაფვის უნა-რი, მიწაში ჩადგმული ყველა ქვევრის გარშემო წყლისათვის ოთხ თორმოს ტო-



ვებდა და ამ ორმოებში წყლის ჩასხმით ქვევრის გარშემო მინას ანესტიანებდა და ამ გზით ქვევრის კედლიდან ღვინის გაჟონვას აფერხებდა. ამიტომ აღარ ჭირდებოდათ მათ ქვევრის კედელში ფორმების ამოსაქოლი საშუალებების მოძიება. რაც შეეხება ქვევრის კედლის ცვილით და მისდაგვარი საშუალებე-ბით დაფარვის კულტურის დამკვიდრე-ბას საქართველოში, ეს ბოლო საუკუ-ნებში ქვევრის გამოწვის გაიოლების მიზნით დამკვიდრებული ცუდი ჩვევაა (ფორმიან ქვევრი გამოწვისას მექ-ვევრეს მეტ დაუდევრობას პატიობს). მოცვილული ქვევრით კმაყოფილი იყო მყიდველიც, რადგან ასეთი ქვევრი ადგილად ირეცხება. სწროვთ ქვევრის კედლის გასანთვლის ამ მავნე ტრადი-ციის დამკვიდრებამ დაავინება ქართ-ველ მეურნე კაცს წინაპრის ტრადიცია, ის, რომ ტრადიციული მეთოდით აღე-ვეთა ქვევრიდან ღვინის გაჟონვა და არა მისი კედლის გასანთვლით.

წერილში ბატონი პროფესორი ყუ-რადლებას ამავილებს ქვევრის შრობის პრობლემაზე და იმაზე, რომ ქვეყანაში მხოლოდ მარალი ხარისხის ქვევრები უნდა შენდებოდეს და გადიოდეს ექს-პორტზე, რომ ამ მხრივ აუცილებელია

სიმკაცრე და საქმისადმი სახელმწი-ფოებრივი მიდგომა. ქვევრის ხარისხის პრობლემა საქართველოში ყოველთვის ჰქონდა და აქვს დღესაც. სამწუხაროდ დღემდე არ ვიცით ის მოთხოვნები, რომელსაც ხარისხიანი ქვევრი უნდა აკმაყოფილებდეს. ამის მოთხოვნათა დადგენა და კონტროლი უპირველეს ამოცანად უნდა დავისახოთ. ასევე, დასადგენა ქვევრის ფორმის სტან-დარტი. დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ქვევრის შენების და გამოყენების დროს მექანიზაციის ჩატარვის მხრივაც რად-გან ქვევრის მსოფლიო მელინებობაში დანერგვა ბევრსა და ხარისხიან ქვევრს მოგვთხოვს. დღეს დამკვიდრებული მეთოდით კი არც ხარისხიანი ქვევრის წარმოება შეიძლება და რაოდენობაც მოთხოვნასთან შედარებით მიზერული იქნება. ყველა ამ და სხვა პრობლემების გადაწყვეტა დღეს, უპირველეს ამოცა-ნად უნდა გახსადოს როგორც ხელი-სუფლებამ, ისე ყველა მათგანმა, ვისაც ქვევრის ბედი აწუხებს.

თურა გამოიითო,
საქართველოს ტექნიკური უნივერსი-ტეტი. ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიე-რებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

პიონერობითი


მარცვლოვანი და კარკოსანი კულტურების გიორგი დამუშავების ინიციატივის ინიციატივის მიერ გამოიწყვეტილი ტერიტორია

საქართველოში არაორგანიზებული სასუქებისა და შეამძინავთ კულტურულ გამოშვების შესამჩნევად შეასრულობა სახარგულების და კერძო სეპტომბრი არსებული შეამძინებული პროდუქციის ხა-რისხის და უვნებლობის საკვითხები,

კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და გადამატებული საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხა-რისხის და უვნებლობის საკვითხები,

ხილ-ბოსტნეულსა და მარცვლოვან კულტურებში შემცირდა ვიტამინების, ცილებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა [4].

აღნიშნულმა პრობლემებმა და სა-კითხის გადაწყვეტის აქტუალობამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მინურულს სერიოზული საფიქრალი გაუჩინა ქარ-თველ მეცნიერთა ჯგუფს. ივ. ჯავა-ხიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე ჩატარებული ფართო სა-



ნახ. №1. ბიოენერგოაქტივატორებით სათესლე მასალის დასხურების წესით დამუშავების ტექნოლოგიური სქემა

მეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე დამუშავდა მცენარეული და ცხოველური უჯრედის მართვის ინვაციური მეთოდი ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით, რის ბაზაზეც შეიქმნა ახალი პრეპარატი – ბიორაგი, რომელმაც გაიარა როგორც ლაბორატორიული, ისე სანარმოო გამოცდები და მიღებული იქნა დადებითი შედეგები. პრეპარატ ბიორაგს დღემდე ანალოგი არ გააჩნია და საგრძნობლად აღმატება სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული მეთოდებით მიღებულ მონაცემებს, ანუ არაორგანული სასუქებისა და შეამ-ქიმიკატების გამოყენებლად მიღებული იქნა ეკოლოგიურად სუფთა, ხარის-ხიან და უვნებლობის მაღალი კოეფი-ციენტის მქონე უხვი მოსავალი [1].

ამჟამად ბიოენერგოაქტივატორი ბიორაგი მზადდება ლაბორატორიული და ნახევრად სანარმოო წესით, ხოლო მისი გამოყენება სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის დამუშავებისათვის ხორციელდება კუსტარული წესით, სადაც ხელით შრომა მაქსიმალურადაა გაზრდილი. თესლის დამუშავება ხდება ბიორაგის სხნარში ჩაღბობის ან დასურების მეთოდით. დასხურების მეთოდის გამოყენებისას დასამუშავებელი თესლის მასა ხელით იშლება ბრტყელ დაფაზე და აეროზოლური მფრქვევანას მეშვეობით ხდება მისი დასხურება. თესლის დატენიანების შემდეგ ოთახის პირობებში ხდება შრობა 20-30°C ტემპერატურაზე. შრობის სანგრძლივობა არ უნდა აღმატებოდეს 7-8 საათს. აღნიშნული პროცესი მეორდება სამჯერ თესლის გაღვივე-

ბა მდე. ასევე ვიზუალურად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თესლის გაღვივება არ დაიწყოს და არ მოხდეს ლპობის პროცესში მისი გადასვლა.

დასხურებისა და შრობის პროცესს დამთავრების შემდეგ მშრალ თესლში იზომება ფარდობითი ტენიანობა, რომელიც უნდა მერყეობდეს 15-18%-ის ფარგლებში, ხოლო მისი შენახვა და-თესვამდე არ უნდა აღმატებოდეს 2-3 დღეს.

გამომდინარე აქტივატორი და მიღებული შედეგები, საქართველოს ტექ-ნიკური უნივერსიტეტის პერსპექტიული განვითარების სამსახურში დამუშავდა ბიოენერგოაქტივატორებით სათესლე მასალის დამუშავების სრულიად ახა-ლი ინვაციური ტექნოლოგიური სქემა (პატენტი №P6460), რომელიც მოიცავს თბური პროცესების ერთობლიობას და მდგომარეობს შემდეგში.

ბიოენერგოაქტივატორების, მათ შორის ბიორაგის გამოყენებით სათესლე მასალის დამუშავების ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახ. №1-ზე; ჩამტ-ვირთი ელევატორი ან ტრასპორტიორი – 1-ის მეშვეობით, მარცვლეული კულტურების დასამუშავებელი სათესლე მასალა – 2, მიერთდება ბუნებრ-დოზატორს – 3, სადაც ხდება მათი დროებითი დაყოვნება ტექნოლოგიური ციკ-

ლის დაწყებამდე. ბუნებრ-დოზატორის კონუსური ნაწილის ძირზე მოთავსებულია ფრთების მადოზირებელი მექანიზმი – 4, რომელიც ერთნაირი ულუფებით, თანაბარ ფენად აწვდის სათესლე მასალას მრავალ იარუსიან კონვეირულ დანადგარს – 5, კონვეირებზე დაჭიმულია ნაქსოვი ლითონის ელასტიური ბადე, რომლის უჯრედები შერჩეულია ისე, რომ შიგ არ გაძვრეს სათესლე მარცვალი, კონვეირების ქვედა ნაწილში, ძირზე მოთავსებულია კონუსური დამლექი ლარი – 6, დასხურებული წყალხსნარის ნარჩენების შეგროვებისათვის [3].

მრავალიარუსიან კონვეირზე – 5, მიწოდებული დასამუშავებელი სათესლე მასალა გადაადგილდება დამტენიებელი კამერისაკენ – 7, რომელშიც მოთავსებულია მილსადენი – 8, მფრქვევანებით. ამ უკანასკნელის დანიშნულება დასხურების ანუ დაფრქვევის წესით მოახდინოს კონვეირებზე გადაადგილებული სათესლე მასალის დატენიანება. ამ დროს გადაადგილების სიჩრარეა $V=0,58/\sqrt{t}$, რაც უზრუნველყოფს სათესლე მასალის სრულ დატენიებას. ბიოენერგოაქტივატორი ბიორაგის წყალხსნარის მიწოდება მფრქვევანებიან მილსადენზე – 8, ხდება დამტირხნი კომპრესორით – 9, რომელიც მიერთებულია რეზერვუართან – 10. ამ დროს რეზერვუარში – 10, წინასწარ მომზადებულია ბიორაგის წყალხსნარი 15 $\text{მ}/\text{ლ}$ – 1 ლ წყალზე, ხოლო ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 18-20°C.

დატენიანებული სათესლე მასალა მიემართება პირველად შრობაზე, რომელიც მიმდინარეობს ვიბროპანევმატიკური გამამდიდრებელი მანქანის პერფორირებულ ვიბრო-დეკაზე – 11, სადაც ხდება დატენიანებული სათესლე მასალის განმენდა გარეშე მინარევებისაგან ხევდრითი წონის პრინციპით და გადაადგილება ვიბრაციულ დეკაზე – 11 მეორადი შრობისთვის.

პერფორირებულ ვიბრაციულ დეკაზე – 11, ჰაერის ნაკადი მიწოდება დამტირხნი ვენტილატორით – 12, ჰაერის ნაკადი გაივლის რა ელექტროპალორიფერს – 13, მილყელის – 14, მეშვეობით გადადის ჰაერის გამშლელ-გამანარილებელ ძაბრში – 15. ამ დროს ვენტილატორის მიერ მიწოდებული ჰაერის სიჩრარე V^2 არ უნდა აღმატებოდეს სათესლე მასალის აფრიანობის კოეფიციენტს, ხოლო ელექტროპალორიფერიდან გამოსული ჰაერის ტემპერატურა უნდა მერყეობდეს 58-60°C-ის ფარგლებში [2].

ცხელი ჰაერის ნაკადი, მოხვდება რა ჰაერის გამანარილებელ ძაბრში – 15, რომელიც ქვედა მხრიდან მიმაგრებულია ვიბროდეკაზე – 11, იშლება და გაივლის პერფორირებული ვიბრაციული

დეკის ძირზე – 16 და გადაადგილდება დატენიანებული სათესლე მასალის შრეზე – 17, სადაც ხდება პირველადი შრობა ანუ დატენიანებულ სათესლე მასალის გარეგანი ტენის აორთქლება. ამ დროს ვიბრაციული დეკის რჩევათა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ღ-150 ბრ/წთ, ხოლო დეკის დახრის კუთხე და მასალის ხახუნის კოეფიციენტი გათვლილი უნდა იყოს დატენიანებული სათესლე მასალის ორგანოლექტიკურ და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე.

პირველადი შრობის დროს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა საშრობ ვიბროვამერის ქოლგაში იზრდება 8-10%-ით, ხოლო ჰაერის ტემპერატურა გამოსასვლელ მილეულში ეცემა 45-47°C-მდე, ამ დროს სათესლე მასალის ტენიანობა უნდა მერყეობდეს 25-30%-ის ფარგლებში, პარალელურად ცხელი 45-470°C ჰაერის ნაკადი, რომელსაც გააჩნია მაღალი ტენიანობა, მიემართება ვიბროდეიფან – 11, ჰაერის შემკრებ ზედა ქოლგისაენ – 18, და მილეულის – 19, მეშვეობით გადადის მეორე ელექტრონიფერში – 20, რომლის დანიშნულებაა პირველადი შრობის შედეგად, სათესლე მასიდან ართმეული ტენიანი ანუ ნამუშევარი ჰაერის ხელმეორედ გაცხელება 65-70°C-ს-მდე და ფარდობითი ტენიანობის შემცირება ანუ ცხელი მაღალი ტენის შემცველობის ჰაერის გამოშრობა, რათა ამ უკანასკნელმა შთანთქას სათესლე მასაში დარჩენილი შეგა ტენი.

ცხელი ჰაერი მილეულის საშუალებით მიემართება ჰაერის შემკრებ ქოლგისებურ კამერაში – 21, რომელსაც გვერდებზე შემოკრული აქვს ბრეზენტის ფარი – 22. მისი დანიშნულებაა მაქსიმალურად დაიცვას სათესლე მა-

სის გასაშრობად მიწოდებული ცხელი ჰაერის დანაკარგები.

ქოლგისებურ კამერაში – 21, სათესლე მასალა, რომელიც განიცდის მეორად შრობას, გადაადგილდება მრავალიარუსიან კონვეიორულ დანადგარზე – 23, რომელზედაც ასევე დაჭიმულია ლითონის ელასტიკური ნაქსოვი ბადე და მიემართება შემკრებ ხვიმირაში – 24, რომლის კონუსურ ძირზე მოთავსებულია მაღალი ინდიკატორებით მექანიზმი – 25, რის საშუალებითაც ხდება სათესლე მასალის ე.ნ. მზა პროდუქციის ქალადის ტომარა-პაკეტებში – 26 ჩაყრა და დაფასოება [5].

ქალადის ტომარა-პაკეტებში დაფასოებული სათესლე მასის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 15-18%-ს და მისი მოცულობითი ნონა დაფასოებულ პაკეტებში სხვადასხვა სათესლე მასა-

არჩევა ურანგივილი,
აკადემიკოსი;
არჩევ გახორციელები,
პროფესიონალი;
ურანგ ურანგივილი,
ექი. მეცნ. დოქტორი

ლიტერატურა:

1. Gakhokidze R. — „Effects of bioenergoactivators o productivity of plants“ — Chemistry of advanced compounds and materials nova science publishers, Inc, New York, 2008.
2. Гортицкий В., Мачихина Л., Паресишвили З. — «Пути усовершенствования процесса очистки полуфабриката чая. — сборник «Чай», культура и производство. Вып. №1'26, ст. 36, г. Тбилиси, 1976.
3. Жвания Г. Залдастанишвили Н., Паресишвили З. — «Внедрение бункеров дозаторов для полуфабриката чая на чайных фабриках Грузии». XXII — Республиканская научно-техническая конференция профессорского преподавательского состава ГПИ им. В.И. Ленина и работников производства ст. 98, г. Тбилиси, 1979 г.
4. ფარესიშვილი ზ. — „ბიოენერგეტიკული კომპლექსის პერსპექტივები ფერმერულ წარმოებაში“. (უკ. 65.012.12), სტუ, შრომები, №5, თბ., 2000.
5. ფარესიშვილი ზ. — „სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პერსპექტივები და ეკონომიკური ასპექტები“, უკრნ.: „მიჯნა“, გამომც. შპს „ბანი“. ქ. თბილისი, 2007 წ.
6. საქართველოს პატენტი №P6460 სათესლე მასალის ბიოაქტივაციის ხერხი. ქ. თბილისი, 2016 წ.

SUMMARY

NEW TECHNOLOGICAL SCHEME FOR PROCESSING SEED MATERIAL BY BIOACTIVATORS

ARCIL PRANGISHVILI, Acad.; RAMAZ GAXOKIDZE, Prof.; ZURAB PARESHIVILI, ??????

New Technological Scheme for Processing Seed material by Bioactivators has been worked out in order to increase the biological activity of seeds treated with such bioactivator as Biorag. The scheme using required mechanical and automated systems envisages spraying of seeds with biorag solved in water followed with two step drying procedure of it with the stream of hot air for final packing.

Technological scheme due to high productivity enables to yield the amount that can meet the market demand.

Precise maintenance of technological requirements improves the quality and prolongs the storage time of treated seeds.

РЕЗЮМЕ

ТЕХНОЛОГИЧЕСКАЯ СХЕМА ОБРАБОТКИ СЕМЯН ЗЕРНОВЫХ КУЛЬТУР ПРЕПАРАТОМ БИОРАГ

АРЧИЛ ФРАНГИШВИЛИ, Акад.; РАМАЗ ГАХОКИДЗЕ, Проф.; ЗУРАБ ФАРЕСИШВИЛИ, Докт. техн. наук

С целью повышения биоактивации семян зерновых культур в водяной растворе биопрепарата БИОРАГ, создана инновационная технология, схема которой с помощью механизации и автоматизации, предусматривает равномерное опрыскивание семян зерновых культур в водяном растворе биопрепарата БИОРАГ, с последующим процессом двухступчатой сушки потоком горячего воздуха и фасовки-упаковки готовой продукции.

Производительность вышеуказанной технологической схемы дает возможность обеспечить потребность потребительского рынка. Соответственно возрастает срок хранения и повышается качество обработанных семян зерновых культур.

ზაფრანა

[იმარული ზაფრანა, ყვითელი ყვავილი, ხავარდული] TAGETES



მსხვილყვავილიანი ზაფრანა
(*Tagetes erecta*)

საქართველოში ამ მცენარემ სახელ-ნოდება „ზაფრანა“ ყვითელი ფერის გამო მიიღო. „ზაფრანა“ არაბულად ყვითელს ნიშნავს, ნამდვილი ზაფრანას (*crocus*) ყვავილები ყვითელ-ნარინჯისფერია. იგი არის მრავალწლოვანი ბოლქვიანი, მსოფლიოში ყველაზე ძვირადლირებული სურნელოვანი მცენარე.

ჩვენში გავრცელებული ზაფრანა რუსეთში და კავკასიაში ცნობილია იმერული ზაფრანის სახელწოდებით (Имеретинский шафран).

გვარი თაგეტეს აერთიანებს 50-მდე სახეობის ერთონლოვან და მრავალწლოვან ზაფრანას (ხავერდულას), რომლებიც დიდიან ასტრასებრთა ბოტანიკურ ოჯახში. მათი სამშობლო ცენტრალური და სამსრეთ ამერიკა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ძველთაგანვე იყენებდა მას რიტუალებში, საკუებში და სამკურნალოდ.

ზაფრანას მრავალხრივი გამოყენება აქვს: კულინარიაში საჭმლის არომატიზაციისა და ფერის მისაცემად, ლამაზი ყვავილების გამო ეზო-გარემოს დასამშენებლად, ხალხურ მედიცინაში სამკურნალო თვისებების გამო, კოსმეტიკაში ბალზამების დასამზადებლად და ა.შ.

ზაფრანას ყვავილები, ფოთლები და ღეროები შეიცავენ ქარვისფერ მოყვითალო ეთერზეთებს, რომლებიც აფრქვევენ სასიამოვნო არომატს. ამ ეთერზეთების ძირითადი კომპონენტია იმარმნებრივი, დანარჩენი ეთერზეთების გარემონტირებული დანარჩენი ეთერ-

ზეთები (საპინენი, ლიმონოცენი, ციტრალი) შედარებით ნაკლები რაოდენობითაა.

ზაფრანას სახეობებიდან საქართველოში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული *Tagetes patula* (წვრილყვავილიანი) და *Tagetes erecta* (მსხვილყვავილიანი) ფორმები.

მსხვილყვავილიან ზაფრანას (*T. erecta*) აქვს სწორმდგომი, თხლად განტოტვილი, ძლიერი ზრდის, მსხვილი, ბუთხუზა ყვავილებიანი ბუჩქი. ყვავილები მოყვითალო მუქი ნარინჯისფერია. ამ სახეობაში შემავალი ზაფრანას ფორმები დიდი რაოდენობით მოჰყავთ გურია-სამეგრელოში და თბილისის გარეუბნებში.

წვრილყვავილა ზაფრანას (*T. Patula*) სახეობას მიეკუთვნება ძირითადად იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ფორმები, რომლებიც გამოიყენება როგორც საკამაზ-სანელებელი ნაზი ყლორტები ფოთლებით ნედლ და სმელ ლობიობში, ასევე საჭმელად, როგორც მზვანილი, ხოლო გვირგვინის ფურცლები ფერის მისაცემად.

ამ ფორმების ბუჩქის სიმაღლე 80-90 სმ-ია, დიამეტრი – 75-100 სმ. ფოთოლი მწვანე ან მოწითალო ისფერია, კენტფრთართული, დაკბილული კიდეებით. ყვავილები შეკრებილია ყვავილებში. ყვავილედის წონა საშუალოდ 138 გრამია.

ზაფრანა სითბოსმოყვარული მცენარეა. მის მოსაყვანად იპტიმალური ტემპერატურა 18-25°C-ის ფარგლებშია. ნიადაგის მიმართ დიდ მოთხოვნას არ იჩენს.

აგროტექნიკა

ზაფრანას მოსაყვანად ნიადაგის დამუშავება იწყება შემოდგომიდან მცირე ფართობებზე დაბარვით, დიდ ფართობებზე მზრალად მოხვნით, სრულ სიღრმეზე. ადრე გაზაფხულზე, როგორც კი ნიადაგი შექრება, უნდა დაიფარცხოს. თესვის წინ ახლად აღმოცენებული სარეველების მოსპობის მიზნით ტარდება კულტივაცია ზედ მიყოლებული დაფარცხვით.

ზაფრანა ითესება, როდესაც ნიადაგი საკამად გათბება თბილისის საგარეუბნო ზონის დაბლობში აპრილის II დეკადიდან, უფრო გრილ ადგილებში მაისიდან.



წვრილყვავილიანი ზაფრანა
(*Tagetes patula*)

დროზე ადრე თესვისას შეინიშნება გაჭინურებული აღმოცენება, ზოგჯერ თესლის მნიშვნელოვანი ნანილის აღმოცენების უნარის დაკარგვა და სუსტი ღივების ნარმოქმნა.

თესვის ნორმა ჰა-ზე *T. erecta*-თვის 2,2 კგ-ია, *T. Patula*-თვის 3,3 კგ-ია. ზაფრანასათვის საუკეთესო კვების არებებია: 50×40 სმ *T. erecta*-თვის, 60×40 სმ *T. Patula*-თვის. ასეთი კვების არებები ორივე სახის ზაფრანასათვის უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს და მოსახერხებელ მოვლის პირობებს.

მწვანე მასის მოსავალი ჰა-ზე 1,5-2 ტონაა; ყვავილების 2-2,5 გ/ჴ.

ზაფრანას ზოგჯერ ღია საჩითილებზე გამოზრდილი ჩითილების დარგითაც ანარმონებენ. ამ შემთხვევაში არჩევენ მყუდრო, ქარებისაგან დაცულ მზიან ადგილს. ნიადაგს ამუშავებენ საგანგებოდ, რის შემდეგაც ყოფენ 1 მეტრიან კულებად და ასწორებენ ფოცხით. თესვის 8-10 სმ-იან მნერიკებად, 1-2 სმ-ის სიღრმეზე, აღმოცენების შემდეგ ამერიკერებენ და მცენარეთა შორის ტოვებენ 3-4 სმ-ს. ნიადაგი იწმინდება სარეველა ბალახებისაგან და ფხვიერდება. ასევე შესაძლებელია ჩითილის გამოზრდა საჩითილების კონტეინერებში (კასეტები და სხვ.).

ჩითილის გადარგვა მუდმივ ადგილზე ხდება აღმოცენებიდან 40-45 დღის შემდეგ. რგავენ მნერივებად 50×40 სმ ან 60×40 სმ-ზე.

ღია გრუნტში ნათესი ზაფრანას თესლი ხელსაყრელ პირობებში აღმოცენ-

დება 10-12 დღეში. აღმოცენებითანავე მწკრივთაშორისებს აფხვიერებენ. ვეგეტაციის პერიოდში სარეველა ბალხებისა და ნიადაგის ქერქის გაჩენის მიხედვით ატარებენ 2-3-ჯერ კულტივაციას და ორჯერ გამეჩერებას.

T. erecta-ს ფორმების ყვავილედების კრეფა უნდა ხდებოდეს ყვავილობიდან ყოველ 10 დღეში ერთხელ, ხოლო თესლის მისაღებად დატოვებული უნდა იქნას სექტემბერ-ოქტომბრამდე.

T. Patula-ს ფორმებში მწვანე მასას ფოთლებისა და ყლორტების სახით ჭრიან მაშინ, როდესაც მცენარეები იწყებენ განტოტვას დაახლოებით 20-30 სმ სიმაღლეზე, ვეგეტაციის პერიოდში 3-5 ჯერ.

ზაფრანას მოკრეფილი ყვავილედები და მწვანე მასა უნდა გაშრეს ჩრდილში და შეინახოს თხელ ფენებად გაშლილი ან ძაფზე აგებით – გირლიანდების სახით.

შემდგენლები:
პატა ჯაჭარიძე,
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთნაროვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის კონსულტანტი;
ირმა ირეგული, სამცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთნაროვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

ორგანული ცოცლის მაურცოდა

ადგილობრივი პიოლოგიური სამუალებების გამოყენება ნიადაგის ნაყოფის მარავი გაუმჯობესების გაუმჯობესება

ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფის მარავი გაუმჯობესი აღმოჩენის ახალი პიოლოგიური განვითარების მთავრობით და გათ შორის სამართველოში დღეს აპტუალურ საკითხს წარმოადგინეს.

ნიადაგის ნაყოფიერების დაქვეითება, ანუ მისი დეგრადაცია, თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი დედამინის მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფას და გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას უქმინის სააფრთხეს.

საქართველოში ნიადაგის დეგრადაციის პროცესი საკმაო ინტენსივური მიმდინარეობს, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთ ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, მისი პროდუქტიულობის ამაღლება, თანაც ისე, რომ სხვადასხვა ქიმიური პრეპარატებით გარემო არ დაბინძურდეს, ანუ უნდა გამოვიყენოთ ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების თანამედროვე ბიოტექნიკური მეთოდები, რაც თავის მხრივ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის ძირითადი და სამედო საშუალებაა.

ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის მიზნით 2014-2015 წლებში ექსპერიმენტები ჩატარდა საქართველოს სამრევინში, სადაც მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის, კომპანია „ბიოაგროს“ ორგანულ-ბაქტერიული სასუქი – „ორგანიკა“ და ბიოპრეპარატები – „ბიოკატენა“ და „ფიტოკატენა“ გამოიყენეს. კვლევებისათვის



საცდელი ნაკვეთი თელავში

გათვალისწინებული სამუშაოების ჩასატარებლად შეირჩა ფართობები თელავის, ქუთაისის და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. ზემოთა აღნიშნული ბიოსასუქითა და ბიოპრეპარატებით დამუშავდა თელავსა და ქუთასში 0,5-0,5 ჰა. ფართობი, ხოლო ახალციხეში – 1 ჰა.

ჩვენ საცდელ ნაკვეთებში შევიტანეთ თხევად-ორგანულ-ბაქტერიული სასუქი „ორგანიკა“ 1 ჰა, ფართობზე (ახალციხე) ხარჯვის ნორმით – 20 ლ. ბიოპრეპარატები: „ბიოკატენა“ – 10 ლ. და „ფიტოკატენა“ – 10 ლ. შესაბამისად 0,5 ჰა-ზე (თელავი და ქუთაისი) სასუქი – 10 ლ, „ბიოკატენა“ – 5 ლ და

ცხრილი №1

ნიადაგის ანალიზის შედეგები საცდელ ნკვეთში (ნიმუში №1, თელავი, უნივერსიტეტი, ვენახი 0-20 სმ საკონტროლო ვარიანტი)

